ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1647272 ოქმის პირველ ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

15. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და სკოლაში ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება, ვიდეო-სათვალთვალო კამერების ხელშეკრულება, რომელსაც ასევე თან ახლდა ფოტო-მასალა. სკოლამ, ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიმართვის წერილი.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა ზაზა გავაშელმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ უზრუნველყოფილი იყო ვიდეო სათვალთვალო კამერების მონტაჟი, ხოლო შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან და ელოდებოდა შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, სავარაუდოდ რა ვადას განიხილავდნენ, რომლის ფარგლებშიც სკოლა შეძლებდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას. ზაზა გავაშელმა აღნიშნა, რომ საკითხი არ იყო სკოლაზე დამოკიდებული, რადგან ისინი ელოდებოდნენ ფინანსურ მხარდაჭერას. ამასთანავე, დირექტორის განმარტებით სავარაუდოდ დრო, რომელიც სკოლას აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად დასჭირდებოდა იყო ერთი წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 11:57

დასრულების დრო: 12:00

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

16. სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 სექტემბრის N1251483 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში ცენტრში წარმოედგინა 3.1. და 3.4. კომპონენტებთან მიმართებით რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის პერსონალთან დაკავშირებული ცნობები.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვერა ბენიძემ განაცხადა, რომ სკოლას სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების მიზნით სამუშაოები დაწყებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაცემისთანავე. აღნიშნული დასკვნის მოპოვების მიზნით, სკოლაში წყლის რეზერვუარების დამონტაჟების საჭიროება იდგა. სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურებთან და ელოდებოდნენ დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ცნობები.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251483 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:03

დასრულების დრო: 12:05

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251483 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადებისა, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

17. სსიპ - ქალაქ ბათუმის №28 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოდგინა ორივე მისამართზე არსებული შენობისთვის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ზედადელეს N7-ში არსებული შენობისთვის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა; ასევე ზედადელის N7-ში მდებარე სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, პირველი სართულის კიბის უჯრედების და სველი წერტილების ადაპტირების და სკოლის თანამშრომელთა „ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული „უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობების, ასევე, დასაქმებული ექიმის მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის დოკუმენტაცია/მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლაში დასაქმებულთა ცნობები. სკოლამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელშეკრულება გააფორმა ექთანთან, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და წარმოადგინა ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც თან ერთვოდა დიპლომი. სკოლამ წარმოადგინა ზედადელის N7-ში არსებულ კორპუსში ექიმის კაბინეტის მოწყობის ამსახველი ფოტომასალები.

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ევაკუაციის გეგმა და სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარი, სკოლას ორივე შენობისთვის შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ამასთან, სკოლას ორივე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნისთვის ესაჭიროებოდა შესაბამისი აღჭურვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიმართული ჰქონდა შესაბამის ორგანოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურია, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ეთერ ჩხეიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა სახის რეკომენდაცია. მისი განმარტებით, ზედაელის N7-ში არსებული შენობა-ნაგებობისთვის არ ჰქონდათ შენობის მდგრადობის დოკუმენტი, თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყო ახალი რეაბილიტირებული და ჰქონდა წერილი, რომლის საფუძველზეც სკოლა არ საჭიროებდა ტექნიკური მდგრადობის დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა რა სახის დოკუმენტზე იყო საუბარი. სკოლის დირექტორმა, ეთერ ჩხეიძემ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით არ იყო საჭირო შენობის მდგრადობის დოკუმენტი, გამომდინარე იქიდან, რომ მათ ჰქონდათ შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო სკოლას მიემართა შესაბამისი აკრედიტირებული ორგანოსთვის შენობა-ნაგებობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, ეთერ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა შედგენილი და წარმოდგენილი ჰქონდა პროექტი, ასევე აღნიშნა, რომ გასაკეთებელი დარჩა ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალი. მისივე განმარტებით, სკოლაში იგეგმებოდა ადაპტირებული გარემოს მოწყობა და სკოლაში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია ზემოაღნიშნულის შეფერხება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურია, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო სკოლაში ექიმის პოზიციასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, ეთერ ჩხეიძემ განაცხადა, რომ კადრის ნაკლებობის გამო, ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის აყვანა ექიმის პოზიციაზე და ამიტომ დანიშნეს ექთანი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ექიმის პოზიციისთვის ვაკანის გამოცხადება და შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურია, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო სსიპ - ქალაქ ბათუმის №28 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები, რომელებიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:08

დასრულების დრო: 12:10

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

18. სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1766217 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოდგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობის მდგრადობის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ქიმიის ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟებისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამის ორგანოებთან მიმართვის წერილები.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები/დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ნანა ლაბაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ გაგზავნილი ჰქონდა ინფრასრუქტურის სააგენტოში წერილი და ამჟამად მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები, რომელებიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:12

დასრულების დრო: 12:13

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

19. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოდგინა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რომანოზ ქიქავამ განაცხადა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, თუმცა ეტაპობრივად იქნა შესრულებული მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები, რის შემდეგაც კვლავ მიმართეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შესამოწმებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N1397714 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:18 საათი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N1397714 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

20. სსიპ-ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ-ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 ნოემბრის N1607966 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ინკლუზიური გარემოს შექმნასთან დაკავშირებით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა შესაბამისი მტკიცებულებებით.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ხოლო შენობა-ნაგებობის დასკვნა იყო არადაამაკმაყოფილებელი/უარყოფითი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, სოფიკო მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ისინი ეტაპობრივად ასრულებენ რეკომენდაციებს. მისი განცხადებით, სკოლას რამდენიმე დღეში ექნებოდათ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის პროექტი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობდა პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

მანვე აღნიშნა, რომ სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად. სოფიკო მჭედლიშვილის განცხადებით, სკოლას ამ ეტაპზე არ ჰქონდა სახსრები ადაპტირებული გარემოს მოსაწყობად.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომელშიც აღწერილი იყო რომ შენობის მდგომარეობა არ იყო დამაკმაყოფილებელი და იყო საფრთხის შემცველი ექსპლუატაციისთვის. დასკვნის

მოპოვების შემდეგ, სკოლამ მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, სკოლაში მისული იყო ინფრასტრუქტურის სააგენტოდან ჯგუფი, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლაში არ იყო მკვეთრად კრიტიკული მდგომარეობა. დაწესებულება სამი თვის განმავლობაში აკვირდებოდა ყალაურებს. სკოლის დირექტორის განცხადებით, ინფრასტრუქტურის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლის შენობის მდგომარეობა არ იყო საგანგაშო.

საბჭომ მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია, დამატებითი მოკვლევის მიზნით, საკითხის განხილვის გადადება. აღნიშნული განპირობებული იყო სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული შეფასების მიღებით.

21. სსიპ - ქალაქ თბილისის №155 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ირმა ამირანაშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე წიფურიამ განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ თვითაცილები სსიპ - ქალაქ თბილისის №155 საჯარო სკოლის საკითხის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ ეკატერინე წიფურია 2020 წლიდან - 2024 წლამდე იყო ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისა და განვითარების კოორდინატორი, ხოლო ირმა ამირანაშვილი 2023 წლის ოქტომბერში აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული.

საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა სკოლის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №155 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიმართული კორესპონდენციები ადაპტირებული გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი ადაპტირებული გარემოს მოწყობის ამსახველი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:27

დასრულების დრო: 12:31

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

22. სსიპ - ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად შედგენილი პროექტი და ინკლუზიური გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან მიმართული კორესპონდენციები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, მანანა ჩარგეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან მრავალი წერილი იქნა გაგზავნილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში. მისი განმარტებით, ინფრასტრუქტურის სააგენტოდან პასუხად მიიღეს, რომ აღნიშნული საკითხები 2025 წლის გეგმაში იქნებოდა გათვალისწინებული და სკოლაში ადგილზე მივიდოდა ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა ლიფტის მოწყობის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

რეკომენდაციები, რომელებიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:35

დასრულების დრო: 12:39

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

23. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, მარიკა კიკალიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა საბჭოს მიერ განსაზღვრული ყველა სახის რეკომენდაცია და წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

24. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ლია ნადირაძემ განაცხადა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით მათ ჰქონდათ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, ამ ეტაპზე კი ელოდებოდნენ დაფინანსებას შემდგომი ნაბიჯების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:42

დასრულების დრო: 12:45

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

25. სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 24 ნოემბრის N1597699 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, მაია კვინიკაძემ განმარტა, რომ სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა მოპოვებული ჰქონდა და გადმოგზავნილი იყო ცენტრში, შესასრულებელი რჩებოდა მხოლოდ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N1597699 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:49

დასრულების დრო: 12:53

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N1597699 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

26. სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აკრედიტებული ორგანოს მომზადებული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, ლია ელიაშვილის განმარტებით, შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ის რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 12:53

დასრულების დრო: 12:59

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-7 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

27. სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N124 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს (ლიფტი/პანდუსი) უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომელიც იყო არადადამაკმაყოფილებელი.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე ინკლუზიური გარემოს (ლიფტი/პანდუსი) უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, მადონა მუმლაძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მდგრადობის არადადაკმაყოფილებელი დასკვნა, რომლის მიხედვით შენობის ერთი ფლიგელი საჭიროებდა გამაგრებას. სკოლას მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის აღნიშნულის თაობაზე. დირექტორის განმარტებით, ადგილზე იმყოფებოდნენ წარმომადგენლები და ინფრასტრუქტურის სააგენტომ სკოლას განუმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის საკითხი გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მდგრადობის შესახებ დასკვნა რეკომენდაციის შესრულების შესახებ ცნობად ვერ იქნებოდა მიღებული. საბჭომ მიღებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე, მიზაშეწონილად მიიჩნია საკითხის განხილვის გადადება, დამატებითი მოკვლევის მიზნით.

28. სსიპ - ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და სკოლაში არსებული სივრცეების (სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შესასვლელი პანდუსი) სსსმ მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა გარე პანდუსის მოწყობის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და სკოლაში არსებული სივრცეების (სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია) სსსმ მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, თამარ ჭარბაძემ განმარტა, რომ სკოლა ელოდებოდა ინფრასტრუქტურის სააგენტოს. დირექტორის განმარტებით, სკოლაში ინფრასტრუქტურის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტისას აღინიშნა, რომ სკოლა საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას და სკოლისათვის მიცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა სწორედ რეაბილიტაციის პროცესში (ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების საკითხი, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობისა და ადაპტირებული გარემოს სრულად უზრუნველსაყოფის საკითხები).

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან

დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:13

დასრულების დრო: 13:16

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

29. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, გამოეყო შესაბამისი ფართი, მოეწყო და აღეჭურვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფართის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა და ლაბორატორიის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, იამზე თურმანიძემ განმარტა, რომ აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსგან ჰქონდა მიწერილობა, რომ სკოლა ჩასმული იყო საჯარო სკოლების

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტში. მან ასევე განმარტა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობისთვის ფინანსები სკოლას არ მოეპოვებოდა და შესაბამისი უწყებიდან ელოდებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის თაობაზე რეაგირებას. საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:19

დასრულების დრო: 13:23

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

30. სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - გიორგი ლომაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დებულების“ გარდამავალი მუხლების შესაბამისად გაწერილი და დამტკიცებული პროცესების აღმწერი დოკუმენტები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის აღმწერი დოკუმენტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მდგრადობის დასკვნა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, ხარისხის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, ბრძანებები ჯგუფების განსაზღვრის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორის, თინათინ გოგელიას განმარტებით სახანძრო ტექნიკური ჯგუფის შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესახებ სკოლას გარკვეული რეკომენდაციები შესრულებული ჰქონდა, რჩებოდა შესასრულებელი მხოლოდ რამოდენიმე პუნქტი, რაზეც სკოლას მიმართული ჰქონდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის. სკოლის დირექტორმა ასევე განმარტა, რომ სკოლას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციებიდან შესასრულებელი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, რაზეც ასევე ჰქონდა მიწერილობა შესაბამის ორგანოსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - გიორგი ლომამის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ხოლო, იმ რეკომენდაციებზე, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:26

დასრულების დრო: 13:31

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

31. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან იყო აღნიშნულ სკოლის მხარდამჭერი ექსპერტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, ამირან დობორჯგინიძემ განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სკოლას გაკეთებული და გადაგზავნილი ჰქონდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია, რომელიც არ იყო შესრულებული სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:35

დასრულების დრო: 13:39

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15

დეკემბრის N1720478 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.

32. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 დეკემბრის N1720478 ოქმის მე-11 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოდგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, კანონმდებლობით დადგენილი ცნობები (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ). ასევე, უნდა წარმოდგინა დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი და ვებ გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსების მტკიცებულებები, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სკოლის მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, ასევე, გათვალისწინებული იქნებოდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის გეგმა, თანამშრომელთა ცნობები, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნა, ვებგვერდის ბმული, კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.

